3 (15) აპრილს 1869.

№ 14.

მეოთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

Ბაგზავნით ტფილისში
და გარეშე ადგილებში: Გაუგზავნელათ:
Ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

სალიტერატურო ნაწილი: ღირს სახსოვარი. დ. მელვინეთხუცესოვისა. — ი. ლ. სერებრიაკოვი (მოკლე ბიოგრაფია).—სიტყვა საყოველთაო საუწყებელი (კრიტიკა) დ.—ვინსპერგის დედაკაცები ლექსი ზ. ხითაროვისა.—პოლიტიკა: — ფრანცია.—ანგლია.—ისპანია.—ტელეგრამმა.—სხვა და სხვა ამბავი.—ტირაჟი.

ღირს სახსოვარი.

წარსულს უკვე 1845 წელსა მქონდა მე ფრიად სასიამოვნო შემთხვევა ქავკასიასა შინა, სადაცა მემამულენი ჩემნი იბრძოდნენ სასტიკად. ის შემთხვევა ანუ ღირსახსოვარი ლაშქრობა მათი თუმცა აღვწერე მაშინ და მსურდა გამოცემა პატარა წიგნათ (брошюра) მცირედის ისტორიულის მოთხრობით; გარნა სურვილი ესე ჩემი, მე ველარ აღვასრულე რომლისამე შესაწყნარებელის მიზეზისა გამო, ამისთვის გიამბობთ იმ ღირსახსოვარს, უპატიოცემულესნო მკითხველნო, შემოკლებით ესრედ.

ჩვენ ყოველთა ქართველთა უწყით, რომელ ქავკასიასა შინა მცხოვრებნი მაჰმადიანნი ვითარ აღაოხრებდნენ უწინარეს ამისა საყვარელსა მამულსა ჩვენსა და ვითარსა განწირულებასა შინა წინაპარნი ჩვენნი, შემდგომ ხშირ ხშირად ბრძოლისა მათთანა, შემჭიდროებულ სცხოვრებდნენ ერთითა მხოლოდ ყოველის შემოქმედის ნუგეშითა ქრისტიანობითსა სარწმუნოებასა ზედა მტკიცედ.

დღესაც მრავალსა ადგილსა სჩანან კერპთა მათ ხელთაგან გაციებული სოფლები, სადგურნი დაქცეულნი, ეკკლესიები შერყეულნი; ხოლო მეპატრონენი ამათნი, ვის ძალუძს გამოცნობა? რომელნიმე *) ტყვეობასა შინა სადა მიეცნენ დამიწებასა და რომელნიმე მამანი და დედანი მწოვარითა ჩჩვილითურთ შემუსრვილნი სადა დაფლულ არიან.

ჭამი ესრეთი შეწუხებულ ჰყოფდა რა განსვენებულს მეფე ირაკლის, იგი უკანასკნელ სიცოცხლისა თვისისა, კვალად მოიწვეედა ერცელის რუსეთის იმპერატორს, და შემდგომ სიკვდილისა თვისისა, გვიანდერძებდა ჩვენ ერდგულებასა მისის იმპერატორებითის დიდებულებისასა, რომლისა ბრწყინვალეს სკიპტრასა ქვეშე და ძალითა უძლეველის მხედრობათა მისსა აწ ვგიებთ განსვენებით და მოვიმკით დღეთა ჩვენთა მარად სწავლითა და ურთი-ერთის სათნოებითა.

მისმან იმპერატორებითის დიდებულებამან ნაცვლად თვისდა, — დაკვიდგინა ჩვენ გენერალ-ადუტანტითვისი, აწ განსვენებული უგანათლებულესი გენერალ-ფერდმარშალი *) ვარანცოვი; ამან ინება წარსვლა ქავკასიად, რათამცა კავკასიელთა მიუწყოს იმავე საწყაულითა, რომლითაცა იგინი ოდესმ, მოგვიწყვიდნენ.

სურვილი ესე გამოგვეცხადა რა ჩვენ, მიწოდებულთა შესაკრებელად სალაშქროდ, ვითარ აღტაცებულნი მხიარულებით ულოცვიდით ჩვენ ურთიერთთა, ვითარცა წარსვლასა და დაცემას იმა მტერთა ზედა, რომელთაგან მოოხრებაი ჯერეთცა არ გვაქვს დავიწყებული, ეგრეთცა შემთხვევასა, რომელსა ეპოვებდით რათა დაგვემტკიცებინა უუერდგულესი სამსახური ჩვენი, ამისაგამო მოხალისენი ზოგთაგან ოთხნი, სამნი და ორნი ძმანი, ჩვენ აღვიჭურვენით ყოვლითა სამხედროს სამკაულითა და შეწევნითა ღეთისათა ვიწყეთ სიარული მხიარულად, ვითარცა ლაშქართ წესია.

თფილისიდამ გასულნი მაისში, ჩვენ მივედით ქალაქს ვლადიკავკაზს, სადაც დაგვხვედა რუსეთის ჯარი გამზადებული, ჩვენ მალე დავმეგობრდით ერთმანეთთან და სამხედრო მხიარულება ჩვენში განვრცელდებოდა ყოველ დღე ჩვეულებრივ; აქ დავისვენეთ რამდენიმე დღე და განვემზადებოდით ჩვენცა ყოველის საჭიროებით. რიცხვი მხედრობათა წინამძღოლობასა ქვეშე საქართველო იმერეთის გუბერნიის მარშლისა პალკოვნიკის, აწ განსვენებულის გენერალ-ლეიტენანტის დიმიტრი თამაზის ძის თავადის ჯამბაკურ-ოერბელიანისა იყო ხუთასი კაცი ბორის უეზდიდამ ხუთასი თბილისის უეზდიდამ ქვეითნი და ხუთასი ცხენოსანნი ქიზიყელნი და უაზახ-ბორჩალოს თათარნი შეადგენდნენ მილიციას; ხოლო ასი თავად-აზნაურნი ქართლისა, კახეთისა და თბილისის უეზდისანი, განსხვავებით დანიშნულ ვიყავით ნამესტნიკის ვარანცოვის გვერთ მხლებლად პაჩოტნი ყარაულად, ჩვენი ასის-თავი იყო ბორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლი თავადი ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი; ამისი თანა შემწე თავადი ნიკო ერისთავი, აწ განსვენებული პოლკოვნიკი და ფლიგილ ატუტანტი; ბორის უეზდის ხუთასის თავი იყო თავადი ზაქარია ბიოორგის ძე აწ განსვენებული მაიორი ერისთავი; თბილისის უეზდის ხუთასის თავი ლევან ივანეს ძე თავადი მელიქიშვილი, აწ გენერალ ატუტანტი; ცხენოსანი ხუთასის თავი იყო თავადი ილია დიმიტრის ძე ოერბელიანი. აწ განსვენებული გენერალ მაიორი.

აქავე ვლადიკავკაზს შევიყარენით ამხანაგათ მრთელს ჯარიანობას ერთ ბინაზედ ძველადვე ჩვეულებისამებრ თავადნი ივანე და დიმიტრი ციციშვილები, დათიკო და დიმიტრი აბაშიძეები, აზნაურნი მე, ზურაბ სიმაკურიძე, კოსტანტინე ზუბალოვი და ნიკოლა ქაოსიძე. მე მყვანდა ორი მოსამსახურე, თავადებს სამ სამი, ზუბალოვს ერთი, სულ ჩვენს ბინაზედ ვიყავით ოცდა სამი სული, სხვა ბინებზედ ოროლი და სამსამი თავთავის მოსამსახურებით იყვნენ.

ვლადიკავკაზიდამ წარვემგზავრენით ერთობ რუსეთის მხედრობითურთ და სიარული ჩვენი ორ გვარის საკრავებით და სიმღერის გრიალით: რუსულად, ქართულად და თათრულად იყო ფრიად სასიამოვნო მშვენიერს ერცელს ბალახოვან მინდორზედ ქავკასიის მთების ძირის ძირი. მე არ ძალმიძს გამოვსთქვა ანუ აღვწერო სრულიად მხატრობა იგი, რომელსაც დღითი დღე ვხედავდი სხვა და სხვა გვარად ძლევა შემოსილთა მხედრობათა ამათ, აქა ჩემთვის უცნობსა მხარეს მხიარულად მიმავალთა, შესვენებით; წინ მიგვიძღოდნენ მოშორებით შვიდნი ცხენოსანნი კაცნი, დამზვერელნი და ათვალიერებდნენ იგინი ჩვენზედ მომავალთა, ორსავე მხარეს მიგვიძღოდნენ ეგრეთნივე ცხენოსანნი ოროლნი გაბმით ცეპად, უმეტეს უსასიამოვნესი იყო დაბინავება ჩვენი კარვებით, სადაც თითოს დღეს, ზოგჯერ მეტს დავისვენებდით; გარემო ყარაულნი გვფარვიდნენ; ყოველ ბინაზედ აღიგრძნებოდა ცეცხლი და იმზადებოდა საჭმელი; ზოგან ჭიდილი გვამხიარულებდა, ზოგჯერ მუზიკა, ფერხული, ღვინის სმა, ტაშის კვრა და თამაშობა; ზოგან ისმოდა საამურის ხმით ძველებური სიმღერა ესე, იარაღის გალესვაზე; ერთი დამღეროდა სხვანი ბანს ეუბნებოდნენ.

ბლესამ და გლესამ ნამგალო,
ნამგალ ჩემო რკინავ,
არალე თარალე, ნამგალ ჩემო რკინავ.

*

ყანას პური შემოსვლია,
ოქროს თაეთავი მოსხმია;
ნამგალო შენსა პატრონსა,
მტერი კარსა მოსდგომია,
სისხლის დაღვრა მონდომია.
არალე თარალე. . .
ხმალ—ხანჯალი მოვიმარჯოთ,
ვაჭკაცურათ გავისარჯოთ,
მტერზედ სრულად გავიმარჯოთ,
არალე თარალე . . .
ვაეკვეცნოთ ხმითა თმანია.
ვიხმაროთ ხელთ თათმანია,
ვამღეროთ მთა და ბარია.
არალე თარალე. . .
მტრისაგან გამოქცეულსა,
თავს ლეჩაქ შემოხვეულსა,
ბაუწყრეს წმინდა ჯვარია.
არალე თარალე . . .

*

დარია თუ ავდარია
ჩვენი გული მაგარია,
ჩვენი მკლავიც მაგარია,
ჩვენი ხმალი მაგარია,
ჩვენი თოფიც მაგარია
ჩვენი ცხენი მაგარია,
მალია და მაგარია,
*) ნამგალ ჩემო რკინავ.

ესრეთის შექცევით განვაგრძელებდით მგზავრობას, სადაც მთიდგან გამოვიდოდნენ ტყის პირად ჩაჩნები ათი, თხუთმეტი, ოცი, ოცდა ათი, მეტი და ნაკლებ; აგვედევნებოდნენ ტყის პირ-პირ შორს, აჭენებდნენ ცხენებს და აქვდათ იმათ თოფის ტრიალი მარჯვეთ; მაშინ ჩვენგანნი ყმაწვილნი კაცნი თუმცა განიძრახვიდნენ ზოგნი იმათ გამოკიდებას, მაგრამ ბრძანება იყო სასტიკი არავინ გაბედოს ცეპ გარეთ გასვლა და ჩხუბიო, რადგანაც ერთმა აღალარის შვილმა დედის ერთამ, თავის სიყმაწვილით და სითამამით შეაკლა უბრალოთ თავი, როდესაც ჯარი დაისვენებდა და ცხენები გაიყვანეს ცეპ გარეთ საძოვრად ბალახზე.

მივედით პატარა ქალაქს ბროზნას. ამ ქალაქს გარს თხრილი ევლო; შიგ ენახე ხის სახლები, ხისავე ეკკლესია მართლმადიდებლის სარწმუნოებისა; ქუჩები ზოგი სწორე, ზოგი მიხვეულ—მოხვეული; მცხოვრებთა შერიგებულთა ჩაჩნებთა ქოხები; დუქან ბაზარი გამართული, ვაჭრობა ჰქონდათ კარგი, თითქმის ყველა იშოებოდა რაც საჭირო იყო ჯარისთვის. როგორც ვლადიკავკაზში, ბროზნაში იდგა ჯარები და მიგველოდა გენერალი ლიდერსი; ამან დასინჯა მისული ჯარები და მესამეს დღეს წაგვიძღვა თავის აქაურის ჯარებით და ზარბაზნებით; მივედით პატარასავე ქალაქს ანდრიას, რომელსაც უწოდებდნენ ჩაჩნები „ხასავიურთ“. აქ მიგველოდა განსვენებული ნამესტნიკი ვარანცოვი სვიტით და პრინწი ბესსენსკისა. ამ ქალაქს ანუ სოფელს გარეთ ვაკეზედ დალაგდა მთელი მხედრობა, კარვებით. ჩვენს გარდა რუსეთის მხედრობას იტყოდნენ თორმეტი ბატალიონი ქვეითი ჯარიაო, ათასზე მეტი ცხენოსანი ყაზახები ლინიისა და ოცდა ათი ზარბაზანიაო. ეს ქალაქი ანუ სოფელი იყო ქავკასიის მთის ყელში მიდგმული თითქოს სიმაგრეთ, რომელზედაც მეტყოდნენ, ვითომც გენერალს ერმოლოვს დაეფუძნებინოს აქაური სიმაგრე ანდრიის სახელწოდებით, ერთ მხარეს განიერი ხევი ჩამოუდიოდა, შიგ შენობა იყო ბევრი არაფერი; ეგრეთვე აქაური დუქან-ბაზარი და ვაჭრობა; გზაზედ ენახე კიდევ ციხე—სიმაგრეები რუსებისაგან გაკეთებულები მინდვრებზედ; ჩაჩნების სოფლები, ამათი შენობა ხისა პატარა ბაღჩებით წნელ-შემოვლებული. ქალნი და კაცნი მიგვიღებდნენ თავაზიანად, მაგრამ კაცებს განუშორებლივ ჰქონდათ დამბაჩა ფალია დაყრილი ყოველთვის მზათ და გვეტყოდ-

*) ჩვენ მაგიერათ მელვინეთხუცი-შვილსა მემანდარბაშ ომას მოკითხვა ეუწყოს; მერე ტყვეების ბარობაზედ ლეკებს წიგნი მოვწერეთ და ღვთის გულისათვის შენც გაისარჯე, ჩვენ შვილთანაც მიდი, დავით სარდალთანაც და ბარსევანთანაც და ამ ტყვეების საქმეს დიდათ ეცადე, ღვთის გულისათვის ბეჯითი იყავი, რომ რაც ტყვე ჰყავთ დაგვახსნევინონ ისე რიგათ რომ დახსნა შევიძლოთ. ქიდევ ამაზედ ბეჯითადა გწერ, რომ ბეჯითი იყავ და ბეჯითი იყავი. დეკემბრის კბ ქორონიკონს უ ო ვ.

ჟ. ეგ ლეკები ხათრი-ჯამი გახადე რომ მაგათი ხათრი გვაქვს და მაგათი საშოვარიც გვინდა, მაგრამ, როგორც ჩვენთან პირობა აქვსთ ეგენიც ისე უნდა მოიქცნენ; ჩვენი ერთგულობა და ქრისტიანობის სიყვარული ახლა გამოგიჩნდება. ამ წიგნს ლეკებს ნუ აჩვენებ, სიტყვით გაისარჯე და ათი—თხუთმეტი ლეკი იშოვნე, ქრთამს დაჰპირდი და მაგ ტყვეების საქმეს ასე ეცადენით. ჩვენი შვილისათვისაც მოგვიწერია და ეს წიგნი აჩვენე. ბეჭედი აზის მეფის ირაკლისა. ნამდვილი წიგნი ესე მაქვს მე სხვათა შორის დაშთენილი მამა პაპისაგან.

*) განსვენებულის მ. ს. ვარანცოვის დაუვიწყარს ზრუნვასა და მოქმედებას საქართველოსა ზედა, თქვენ სცნობთ სრულს აღწერილში.

*) ძველ დროში ლეკიანობასაო, იტყოდნენ მოხუცნი, ლეკები რომ მკაში თარეშს გამოუშვებდნენ და სწრაფად დაეცემოდნენ მამითადს, მაშინ ზოგი მომკალი სიჩქარით ნამგლის მეტს ვერას მოისწრობდა და იმით იგერებდა მტერსა; ამისთვის დამღერდნენ ზემო თქმულს სამკალად ნამგალს, საომრად ხმალსა და ხანჯალს; დასასრულ იტყოდნენ იგინივე მომღერალნი რამდენსამე მოსწრებულ სიტყვებსაო, მაგალითად.

სამეფოს მტერი ვერ დასძლევს,
თუ მეფის სახლი მშვიდია,
სალაროს მისსა რა დალევს,
თუ არ ვეზირი ფლიდია.

*

სხვათა ღირს სახსოვარ მოთხრობათა, ორთა პატივცემულთა თავადთაგან, რომელნიც სცხოვრებდნენ ძველსა და ახალს დროში, გიამბობთ შემდგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნენ ვაჟკაცურის ამპარტავანობის სახით: „ჩვენ მთის ხალხნი ვართ, დაცლილს და დაჟანგებულს იარაღს არ შევინახავთ.“ მე დიდათ მსურდა იმათი შინაური ცხოვრება და მუშაობა, რას უფრო მისდევენ შემეტყო დაწვრილებით, მაგრამ იმდენი დრო არა გვქონდა, რომ სოფლებში დავმდგარიყავით რამდენიმე დღე, ზოგ სოფლებში ენახე ცხელი წყლების მდინარე, რომლითაც ბრუნავდა წისქვილის პატარ-პატარა ბუჭულა თვლები; ამაევ წყლებს ხმარობდნენ სასმელად გაცივებულს. ჩაცმულ დახურულნი იყვნენ კაცნი მოხდენილნი; მე ვერავინ ვნახე იმათში ისე დაგლეჯილის ტანისამოსით, როგორც ჩვენში არიან ბევრგან; რასაკვირველია ეს უნდა იყოს კაცისა და დედაკაცების მხნეობისაგან შემზადებული.

Დ. მეღვინეთხუცესიშვილი.

(შემდეგი იქნება).

Ი. Ლ. სერებრაკოვი.

(მოკლე ბიოგრაფია)

Ი. Ლ. სერებრიაკოვი იყო შვილი ერთის სილნაღის მოქალაქისა. თუმცა იმისი მამა არ იყო მდიდარი კაცი, მაგრამ რაკი სიყმაწვილეშივე შეატყო თავის შვილს ფხიზელი გონება და სწავლის ხალისი, მაშინვე მისცა სასწავლებელში სილნაღში. აქაური სასწავლებელი ძალიან სახელოვანათ დაასრულა, ასე რომ ყველანი ურჩევდნენ მამას, რომ მიეცა თავისი შვილისათვის საშუალება სწავლის დასრულებისათვის. თუმცა არ იყო ეს შესაძლისი იმისი შეძლებისაგან, მაგრამ მაინც **Ი. Ლ.** სერებრაკოვი წამოვიდა თბილისის გიმნაზიაში შესასვლელათ, რომელიც აგრეთვე სახელოვანათ დაასრულა. რადგანაც ძალიან მახვილი გონებისა და სიტყვისა იყო, **Ი. Ლ.** სერებრიაკოვმა თბილისის გიმნაზიაშივე გამოიჩინა თავი თავის ამხანაგებში: იმის სტატიებს გიმნაზიის ხელთნაწერ გამოცემებში ყველანი დიდის სურვილითა კითხულობდნენ. ამ სტატიებშივე სჩანს იმისი თავისუფალი სჯა სამღვდელოებზე და სხ. რასაკვირველია ეს იყო ჯერ ყმაწვილობა და სხვა საფუძვლიანი კი არაფერი.

მერე ზორკის სასოფლო სახლოსნობის ინსტიტუტში გაგზავნეს დასახელოვნებლათ; ეს სასწავლებელი დაასრულა კანდიდატობით და ეერცხლის მედლით.

პირველი საფუძვლიანი თხზულება **Ი. Ლ.** სერებრიაკოვისა იყო თამბაქოს მოყვანაზე, რომელიც დასწერა ხარისხის მისაღებათ. ეს წიგნი გამოვიდა ბეჭდიდგან პირველათ 1868ში და გამოსვლის უმალ მოეფინა მთელს რუსეთზე. ჯერ აქამდინაც არ არის ამგვარი სრული და სასარგებლო წიგნი რუსულს ენაზედ ამ საგანზედა და დიდხანაც იქნება ხელთ-მძღვანელათ თამბაქოს მომყვანთათვის. ეს არის სამწუხარო, რომ რუსულს ენაზედ არის დაწერილი ეს ფრიად სასარგებლო წიგნი, რომელიც ძალიან გამოადგებოდა ჩვენს მხარეს ქართულს ენაზედ.

ინსტიტუტიდგან გამოსული **Ი. Ლ.** სერებრიაკოვი იყო სრულებით განათლებული და მზა საზოგადო შრომისათვის, მაგრამ შეეიდა სამსახურში, სადაც პირველს დროს მისცეს საქმეთ შესავალი და გასავალი ქალალდების ჩაწერა. ეს საქმე ძალიან მძიმე არის უნივერსიტეტის ახალგაზდობისათვის; მაგრამ რა ექნა— საქართველოში და თითონ რუსეთშიაც არ არის საზოგადო შრომა და კაცი უსამსახუროთ ძნელათ რასმეს მოეჭიდება: ყველაზედ სახელმწიფოს ბეჭედი სდევს. მაგრამ **Ი. Ლ.** ამ გარემოებაშიაც იპოვნა საშუალება საზოგადო შრომისათვის. თავისი სამსახურის პირველ წელიწადსვე მოინდომა ქართული სასოსფლო სახლოსნობის გაზეთის „ზუთნისდედის“ გამოცემა. ეს მშვენიერი, საფუძვლიანი აზრი ახალგაზდა ნასწავლი აგრონომისა სიხარულით მიიღო იმისმა ნაჩალნაკმა **მ. ნ. ალიბეგოვმა** და ცოტას ხანს შემდეგ „ზუთნის-დედის“ ნომრებს კითხულობდნენ სოფლებში. ამ გაზეთში ავრცელებდა თავის ტეორეტიკულს სასოფლო სახლოსნობის და დროებითს ცოდნას ისეთის მდაბიო ენით, რომ ყოველს გლეხს სრულათ ესმოდა. ამ გაზეთის ერთის წლის რედაქტორობის შემდეგ საქართველოში ყველა გლეხი იცნობდა **Ი. Ლ.** სახელით, და ცდილობდნენ დალაპარაკებოდნენ და დაჰკითხოდნენ „ჭკვიანს ბატონსა“; უნდოდათ იმისი რჩევა, რომელიც იმისი მჭევრ მეტყველი ენიდამ გადადიოდა პირდა პირ საქმეში. თავის ექვსი წლის „ზუთნის-დედის“ რედაქტორობაში არამც თუ სასოფლო სახლოსნობას მოუტანა სარგებლობა, არამედ ქართულს ენასაცა, რადგანაც ბევრი საჭირო სასოფლო სახლოსნობის სიტყვები შეიტანა ენაში.

Ი. Ლ. იყო ძალიან მჭევრ მეტყველი ქართულს ენაზე; ამასთან რუსულიც კარგათ იცოდა. რუსულს ენაზე დასწერა „ზანჯის უეზდის სასოფლო სახლოსნობის აღწერა“, რომელშიაც განიხილა ყოველი დანაკლისი იქაური სასოფლო სახლოსნობისა და ის საშუალებაებიც ასწერა, რომლითაც შეიძლება გაუმჯობესობა ამ საგნისა. ეს წიგნი ძალიან შესანიშნავია თავისის საქმიანობითა და საზოგადოებაშიაც ბევრი სჯა გამოიწოვა. ზანსაკუთრებით მაღალს საზოგადოებაში უფრო ბევრი ლაპარაკი იყო ამ საგანზედ, რადგანაც იქ იყო ნემენცის კალონიებზე რომელიმე ცნობაები. ამ აღწერიდგან ცხადი ხდება ის საგანი, რომელზედაც აქამომდე ჰკვიროობენ, რომ ნემენცის კალონიები ჩვენში კარგს მდგომარეობაში არიან და იმათთან მეზობლათ მყოფნი ჩვენი სოფლები, ცუდში. **Ი. Ლ.** აღწერიდგან სჩანს, რომ ეს საგანი სწორეთ ასე უნდა იყოს, რადგანაც ნემენცებს პირველს დასახლების დროსაც მმართებლობამ მისცა შემწეობა ფულითა და მერეც ყოველთვის იმათ რჩევა და მფარველობა არ მოჰკლებიათ მმართებლობისაგან. ზარდა ამისა **Ი. Ლ.** ის მოჰყავს მიზეზათ კალონიების კარგის მდგომარეობისა, რომ ისინი დიდს ხანს ყოველი ხარჯიდგან და ბეგარიდგან არიან განთავისუფლებულნი.

მერე 1862-ში **Ი. Ლ.** წავიდა ლონდონის საქვეყნო გამოფენაზე დეპუტატათ; იქიდგან დაბრუნდა გაახლებული ცნობებით საესე და უფრო მხურვალეთ შეუდგა თავისი გაზეთი „ზუთნი-დედის“ გამოცემასა.

ზარდაცვლის ორი წლის წინათ თანამდებობის ბძანებით მოიარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პირი შავის ზღვისა, და იქიდგან რომ დაბრუნდა დაბეჭდა ერთი სტატია „სასოსოფლო სახლოსნობის პირობაებზე ჩრდილოეთ დასავლეთის ქავკაზში“. ეს შრომა განსვენებული **Ი. Ლ.** სრულებით არ ერჩევა უწინდელს ნაწერებთან და ღირსებაც იმგვარივე აქვს. მაგრამ შავი ზღვის პირზე მიიღო ისეთი სნეულება, რომელიც ბოლოს გახდა მიზეზი იმის სიკვდილისა.

ყველა ამ თხზულებათაგან **Ი. Ლ.** თუმცა აჩენენ იმაში დიდს ცოდნასა და ნაკითხს კაცსა, მაგრა არიან სპეციალური, ე. ი. თავის საკუთარს ხელობას—მეურნეობის ცოდნას ეკუთვნიან. **Ი. Ლ.** საერთო ცოდნაც დიდი ჰქონდა; იმას აგრეთვე კარგათ ესმოდა მათემატიკა, მედიცინა, იურისპრუდენცია, ისტორია და ლიტერატურა და რომ ჰქონიყო მოცალება სამსახურის საქმიდგან, თავისის მჯეერ მეტყველის ენით ბევრს სასარგებლო თხზულებაებს დაგვიტოვებდა. იმასა ჰქონდა დაწერილი ერთი ფრიად შესანიშნავი მოთხრობა ქართულს ენაზე, სახელათ „პაჭო“, მაგრამ ჯერ აქამდისინ ვერ გვიპოვნია—არ ვიცით სად არის. თუ ვიპოვეთ, იმედი კი არის პოვნისა, უთუოთ წავაკითხებთ პუბლიკას.

როგორათაც ეს ძვირფასი თხზულება ახლა არა ჩანს, აგრეთვე არ ვიცით სად არის იმისი მოგზაურობის აღწერანი, რომლებსაც ადგენდა ყოველთვის საცა კი წავიდოდა; ამ რიგობა თხზულებათაგან ყველაზე ძვირფასი იქნება ევროპაში მოგზაურობა, რომელიც ჯერ ხელთ ნაწერი ბევრს წაუკითხავს და დიდათაც მოსწონთ. აქ პარიჟი და ლონდონი არიან პირველნი სცენანი მოთხრობისა, რომლის მაღალი და მდაბალი საზოგადოება ირჩევა იმისი კრიტიკულის აზრითა პოეტურს კარტინებში. მაგრამ სულ ესენი, ჩვენდა სამწუხაროთ არ სადა სჩანან. მეტადრე „პაჭო“ იყო იმისი საყვარელი თხზულება, რომელსაც აპირობდა დაებეჭდა. მაგრამ იმისმა უდროოთ სიკვდილმა (ის გარდაიცვალა ოცდა თხუთმეტისა 1868 წელსა, აგვისტოს 11-ს.) ბევრი ამგვარი სასარგებლო თხზულებაები დაგვაკლო. იმის სიკვდილით ბევრი დააკლდა მეცნიერებსაც, „ზუთნის-დედის“ რედაქციასაც და სასოფლო სახლოსნობის კრებასაც, რომელიც აქამდის მოთქმით სტირს თავისი პირველი წევრისათვის.

სიტყვა საყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართულთა ბეჭედისაგამო. პლატონ იოსელიანისა.

უ. იოსელიანი თავის შედგენილს სიტყვაში წარმოუდგენს მკითხველთ თავისის შრომით გამოცემულს ხუთს წიგნსა, რომელნიცა ბრძანებითა უგანათლებულესისა კნიაზის **მ. ს.** ვორონცოვისათა დაიბეჭდენ; გარნა დასასრულ მათ ჩვენებულთა წიგნთა იტყვის: „ბრძოლისა ხმამან 1853 წლისა, საუბედუროდ ქართველთა მწერლობისა, შეაყენა მშვიდობითი და მყუდროებითი მუშაობა ჩემი, მშრომელი მივიწყებული, ვითარცა მფრინველი ფრთა მოკვეთილი, მივჩუმდი: შედგა ბეჭდა ქართულთა წიგნთა.“ ამ სიტყვებზედ შეუძლებელია თვითოეულმან მკითხველმან არ შენიშნოს თავის მოყვარება მწერალისა, მკვახე კვეხნა და არა სათქმელი ზარალი, არ იქმნება არ მივექცეთ თვით უ. ფრთა მოკვეთილს, და არ წარმოვათქმევინოთ, 1853 წლის ბრძოლაში ხომ არ მოეკვეთა ფრთა, რომ საუბედუროდ ქართველთა მწერლობისა შეაყენა მშვიდობიანი მუშაობა მისი, ანუ რომლისა ექიმისა კურნებითა უმრთელდება?—ანუ იქნება ჰგონია მრთელს საქართველოში, ამ მისგან ნაშრომ ხუთს წიგნზედ მეტი არ იპოება ქართულს ენაზედ დაბეჭდილი? მაგრამ, აი ჩვენ რას ვიტყვით, წინაალმდეგ მისსა, იმ დროშივე, რომ მიჩუმებულიყო და ფრთებიც მოჰკვეთოდა მით, საქართველოს არა ვითარიმე ზარალი მიეცემოდა შესახებ ქართულთა წიგნთა ბეჭდისა გამო.— თავის მოყვარესა არ სურს გამოიძიოს სხვათა ნაშრომი. ნუ თუ უ. ბროსსეტ წევრი საიმპერატორო-სამეცნიერო აკადემიისა არა ცდილობს და იღვწის ქართულის მწერლობისათვის?—მისისა შრომითა გამოცემულნი ქართლისა ცხოვრება, გეოგრაფიული აღწერა ვახუშტის მეფის ძისა, აგვირგვინებენ საქართველოსა და მწერლობასა მისსა არა აკმარა ერთსა ქართულს ენაზედ გამოცემასა, იგივე შრომითა თვისითა და ღვაწლითა სთარგმნა ფრანციზულსა ენასა ზედა.—აგრეთვე გამოვიდენ და დაიბეჭდენ ჯერეთ ძველადვე ვეფხვის ტყაოსანი, სიბრძნე სიცრუისა წიგნი, ქრისტომატიები რაოდენიმე ნაწილებად, რომელსა შინაცა იპყრობის ძველი ქართველთა მწერლობა, ლექსთა თხზვა, სასულიერო პირთა ქადაგებანი, შესხმანი და წმინდათა ცხოვრება, მეფე ვახტანგისა კანონები და ქართული ანდაზები, ნუ თუ მათთვის საძნელოდ გამოჩნდებოდა გამოცემაცა ესე ვითართა წიგნთა რომელთაცა მოიხსენებს ფრთი მოკვეთილი? ან როგორ არის ისე გულ დაჯერებული ჩვენი მქადაგებელი, რომ ამბობს რაკი ის შეიქმნა ვითარცა მფრინველი ფრთა მოკვეთილი და მიჩუმებულა, ვითომც საუბედუროდ ქართველთა მწერლობისა შედგა ბეჭდა ქართულთა წიგნთა. ეს როგორ უნდა შეიწყნარებოდეს მკითხველთაგან, როდესაც ვხედავთ, რომ ქართულს ენაზედ დაიბეჭდნენ მრავალნი წიგნნი, თვინიერ მათსაცა როველნიცა ვახსენეთ ზემოთ. ეგრეთვე ამტკიცებს მეცადინეობასა ქართულისა ენისა გავრცელებისასა, რომ იყო დრო როდესაც ჩვენს ქალაქში ძლივს არსებობდა ერთი ქართული სტამბა, ეხლა შეიძლება ნახონ ხუთიცა; იბეჭდებიან რომელთამე ქართულთა მწერლობისა მოყვარეთაგან ჟურნალები და გაზეთები. ხოლო დასასრულ 1864 წელს უწმინდესის სინოდის ბრძანებით დაწესდა აქა, სტამბა საეკკლესიოთა წიგნთა ბეჭდისათვის; სადაცა დაიბეჭდნენ: ერცელი ლოცვანი, მასთანავე პარაკლისები საზოგადოდ საუფლოთა და ყოველთა წმინდათა, დაევითნი, ზადიკი, და ეხლა სახარებასა ბეჭდენ; იქმნება ღმერთმან შეგვასწროს სხვათაცა საეკკლესიო წიგნების ბეჭდასა. აქვე შეიძლება ვსთქოთ, რომ არიან მეცადინენი და მოყვარენი ქართულისა ენისა, რომელთაცა საკუთრითა შრომითა შეადგინეს სასწავლებლებისათვის ქართულს ენაზედ წიგნები ყმაწვილთათვის სასარგებლონი ანბანნი სხვა და სხვა მეტოდზედ შედგენილნი, რუსულიდგან გარდმოიღეს ყმაწვილებისათვისვე გონების გასახსნელნი სტატიები-გეოგრაფიული და სხვანი სასარგებლონი და ძრიელ საჭირონი. მაშა შემდგომ აღრიცხვისა, არ უნდა ვსთქოთ, რომ ესეოდენნი მშრომელნი და მოყვარენი ქართულისა ენისა, იქამდისინ მიჩუმდებოდენ, რომ არ შეიძლებდენ ძველთა ქართულთა წიგნების დაბეჭდასა? ან იქმნება უსათუოდ დაერწმუნებიან, რომ უ. იოსელიანის გარდა არაევის არ შეუძლიან გამოცემა; მაგრამ იქმნება უ. მქადაგებელმა არც კი იცის თუ ქართულს ენაზედ შეიძლება ესეოდენის აღრიცხულის წიგნების მოპოება, ამისა გამო კი შეიძლება გეებედნა ესრეთ გულ-ამოსკვნით ოხერა, რომ საქართველოს ბევრი დააკლდა მისის მიჩუმებითა: ეხლა დარწმუნდეს რომ თვინიერ მისსა შეიძლება მშრომელების მოპოება. დასასრულ ყოველისა უ. მქადაგებელი განამხნევებს მსძენელთა თვისის ქადაგებისა: „ნუ მივსცემთ დავიწყებასა მამა-პაპისა ჩვენისა კალმისა შრომათა, ნუ განვაქრობთ მათსა, გონებისა ლექსთა წყობითა და პროზად, მწერლობისა გმირობასა. ნუ დაუკრავთ კაცთა-ნათესავსა, ძველთა და წარსულთა დროთა მწერლობისავე ღვაწლთა. ხოსროიდულთა, არაბთა, თურანელთა, ჩინგისისა, თუმერლანგისა და შახბაზისა ხმალცა ლესულთა, გარდურჩართ ძველნი თხზულებანი და თქმანი მწერლობითა; და, ოხრებისა დროსა დაიცვეს მრავალნი მათგანი ჩვენთვის და დროთა ჩვენთათვის.“—ნუ თუ ამაზე თვითოეულმა წამკითხველმა დაგამგონმა მაშინვე არ შენიშნოს მქადაგებლები, აზრისა ცვლილება და წინალამ მოტყუებაცა? ასე რომ ჩვენ ზევით მის სიტყვაში წავიკითხეთ და გავშინჯეთცა, რომ მქადაგებელმან წინათვე გულ მტკივნეულებით განაცხადა, რომ საქართველოსა ბრძოლისა ჟამსა დაჰკარგვია მრავალი წიგნი, და თითქმის ისინიცა რომელთაცა მოიხსენებენ კათოლიკოზნი: არსენი, ანტონი, ბესარიონ, მეფე ვახტანგი მეფის ძე ვახუშტი და სხვანი; და ეგრეთვე დაჰკარგვია საქართველოს ის წიგნებიცა, რომელნიც თვითვე უნახავს და წაუკითხავს ბოდბელ - მიტროპოლიტთან, რუსთველ - მთავარ ეპისკოპოსთან და სხვებთან, რომელნიცა ესე უკანასკნელ ხსენებულნი მღვდელთ მთავარნი სცხოვრებდენ თითქმის ამ ახალ დროამდე ე. ი. 1830 წლამდე,—მაშა რომლისა წყაროსაგან არწმუნებს მსმენელთა თვისისა სიტყვისა, რომ არაბთა, თურანელთა, ჩინგისისა,

და შახ-აბაზისა ხმალთა ლესულთა გარდურჩათ მრავალნი წერილნი?

დასასრულ ჩვენის სიტყვებისა, ვიტყვით, რომ შემდგომად ამა მოკლედ განხილვისა ჩვენის მქადაგებელის სიტყვისა, შეუძლიანთ ყოველთა, გასამართლებელად ჩემის სიტყვებისა, ჰპოონ ყოველივე ნაკლულეანება ხსენებულის მქადაგებელის სიტყვაში და წარმოსთქვანცა, რომ ყოველი მწერალი მოყვარე თავისა თვისისა შესახებ მწერლობისა, მოძულე სხვათა, მაქებელი თავისისა და მოძაგე სხვათა არა რასა ასარგებლებს მამულსა; გარნა ყოველივე თვითოეული ჯერ არს იყოს მშრომელი, შემწე მამულისა: განმამხნევებელი სხვათა, და რათა ესე ვითარითა შემწეობითა არა აქებდეს თავსა თვისსა თვით, მსგავსად უწყალოსა ფარისეველისა, რომელსაცა ეხედავთ სახარებაში, არამედ იქოს სხვათაგან ღირსებისაებრ. — რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ....

დ.

25 მარტსა,
ს. ოქროყანა.

ᲕᲘᲜᲘᲡᲞᲔᲠᲒᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ *).

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

(პ. ᲕᲔᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘᲓᲒᲐᲜ.)

1.

ᲙᲝᲜᲠᲐᲓ ᲑᲝᲒᲔᲜᲨᲢᲐᲣᲤᲔᲜᲘ **)
ᲐᲒᲔᲠ რამდენი ხანია
ᲘᲛᲠᲒᲕᲚᲘᲕ ქალაქსა ᲕᲘᲜᲘᲡᲞᲔᲠᲒᲡა
ᲓᲘᲓᲘᲡ ლაშქრით აყენია.
ᲗᲣმცა მტერი მინდორზედა
სრულიადა დაამარცხა,
მოქალაქეთა შეპყრობა
ᲕᲔᲠᲐᲡ გზით ვერ მოახერხა.

2.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ საზრდელი მოაკლდა
და შეიქმნა შიმშილობა...
ᲙᲝᲜᲠᲐᲓᲡ მიჰმართეს გოდვითა
და სთხოვეს მასა შენდობა.
„ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡა შვილდისრებითა
ᲑᲔᲕᲠᲘ მომიკლდა ლაშქარსა,—
რაც უნდა მოგვიდოდეთ
სისხლს ვერ დავტოვებ მე მათსა....“

3.

მოქალაქეთა ცოლებმა
მაშინა სთხოვეს ᲙᲝᲜᲠᲐᲓᲡა:
„ᲐᲠᲐᲡ ფერში ურეკვიართ—
ნუ დაიდებ ჩვენს ცოდვასა.“
სრულიადა დაამარცხეს
ᲑᲛᲘᲠი ესე ქალთა ცრემლთა,—
ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲐ განეშორა
და ბრძანა ფრიად მშვიდათა:

4.

„ᲗᲐვისუფლათა განვიდნენ
ქალაქიდგანა ცოლები,—
რაც სურდეთ ძვირფასთაგანი
და რასაც მოერევიან
ᲗᲐნა წაიღონ ნივთები.“
ᲐᲛ გვარი მოწყალეება
ქალთ სიამოვნით მიიღეს—
მოახსენეს მას მადლობა
და მდაბლათ თავი დაუკრეს.

5.

ᲠᲐ დაიწყო განთიადი
და მზემ განჰფანტა ღრუბელი,
ᲚᲐშქარს თვალ წინ წარმოუდგა
ᲮᲔრხი ქალთა საკვირველი:
ᲥᲐᲚᲐᲥის კარნი განიხშენენ—
ᲥᲐᲚᲔᲑი ზნექით მოდიან,
ᲛᲫიმედ ადგამენ ნაბიჯსა.—
ᲢᲕირთსა ძლივა ერევიან....

6.

*) ᲕᲘᲜᲘᲡᲞᲔᲠᲒᲘ ანუ ᲕᲔᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘ ქალაქია ᲕᲘᲠᲢᲔᲛᲑᲔᲠᲒის სამეფოში.

**) ᲙᲝᲜᲠᲐᲓი მესამე ᲑᲝᲒᲔᲜᲨᲢᲐᲣᲤᲔᲜᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘის იმპერატორი 1138—1152 წ.

ᲡᲐᲞᲐᲚᲜᲔ სდრეკამთ საშინლად,
ᲬᲔᲚი ვერ აუმართიათ—
ᲡᲐᲣᲜᲯᲔ უფრო ძვირფასი
ᲫᲠᲛᲔᲑი წამოუკიდნიათ!..
„ᲐᲠ გაუშვათ ეგ მაცდურნი!“
ᲐᲛᲐᲧᲐᲓᲐ ყვირის მტერი...
„ᲛᲔᲤᲔᲡ ეგ არ უნებნია!“
ᲡᲣᲚ თმასა იგლეჯს ვეზირი.

7.

მკვირცხლავ მირბიან ᲙᲝᲜᲠᲐᲓᲗᲐᲜ,—
ᲘᲒᲘ მოჰყვება სიცილსა:
„ᲗᲣმცა ეგ გულში არ მედვა,—
ᲕᲐქებ საკვირველს ცოლებსა!
ᲠᲐცა მითქვავს არის წმიდა,
სიტყვას ვერ გავტეხ ჩემსასა,—
ᲘᲪოდეთ რაცა წარმოესთქვი,
ᲐᲠ დავარღვევ არ ვისთვისა!“

8.

ᲔᲡრედ უბიწოდ დაიცვა
მეფის ტახტისა ღირსება;
Ერთა პირთაგან ყოველთვის
ᲘᲡმის ᲙᲝᲜᲠᲐᲓის დიდება...
დაუყოვნებლივ მინდობა
მეფეებისა სიტყვათა,
ᲠᲝᲒᲝრც სჩანს, კიდევ შეეძლოთ
ᲑᲔრმანიელებს ძველათა.

Ზ. Ხითაროვი.

Ქ. ᲑᲝრი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

ᲞᲐᲠᲘᲫᲘ.—ᲐᲛ ცოტას ხანში მოელოდნენ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐსა და ᲑᲔᲚᲒᲘᲐს შუა შეტაკებას. Ეს იყო იმის მიზეზით, რომ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘს რკინის გზები შედიოდნენ ᲑᲔᲚᲒᲘᲘს ᲡᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲨი. ᲑᲔᲚᲒᲘᲐ ამაზედ არ იყო თანახმად პირველათ იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიური ანგარიში ზიანდებაო და ეშინოდათ პოლიტიკური დამონავებისაც ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘსაგან. ᲐᲛ საგანზე ᲑᲔᲠᲚᲘᲜის „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ გაზეთი“ ამბობდა: „ᲢᲘᲣᲚᲔᲠᲘᲘს კაბინეტს მხოლოდ ისა სურს, რომ ერთი ᲑᲔᲚᲒᲘᲘს მიწებში შეიჭრას როგორმე, რკინის გზით იყოს თუ სხვა მხრით; მერე ᲑᲔᲚᲒᲘᲐ უთოოთ დაჰკარგავს როგორც თავის ეკონომიურს, აგრეთვე პოლიტიკურ თავისუფლებასაო. მერე ᲤᲠᲐᲜᲪᲘის გაზეთებიც ისე ლაპარაკობენ ᲑᲔᲚᲒᲘᲘს დამონებაზე ეკონომიურის მხრივ, ვითომც ეს საქმე სრულებით ბუნებითი იყოსო; ეს უთოოთ იმავე აზრით, რომლითაც 1866-ში უნდოდათ დაეჭირათ ᲠᲔᲘᲜის მარცხენა მხარე და 1867-ში ᲚᲘᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲝ, ამბობს ᲑᲔᲠᲚᲘᲜის ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. რადგანაც აქამდინ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐს უთმენდნენ ამ გვარს აზრებსა, ამიტომ ისინი გაბეჯითებულანო“. მერე ვიკონტი ᲚᲐᲒᲔᲠᲝᲜᲔᲠი გაგზავნეს ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘდგან ᲑᲔᲚᲒᲘᲐსთან საშუამავლოთ, რომელსაც მარტის თხუთმეტში ჰქონოდა რჩევა ამ საქმეზე ᲑᲔᲚᲒᲘᲘს მინისტრთან, ᲤᲠᲔᲠ-ᲝᲠᲑᲔᲜთან. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐს სწადდა, რომ ᲑᲔᲚᲒᲘᲐს გაეშინჯა რკინის გზების კამპანიების დადებული პირობაები, მაგრამ ᲑᲔᲚᲒᲘᲐ ამაზე პირველათ უარს ამბობდა. ᲑᲝᲚᲝს ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐს სწადდა ხელი აეღო ამ პირობაებზე, თუ ᲑᲔᲚᲒᲘᲐ იტყვის, რომ ის პირობაები ჩემთვის საზიანო არიანო. ᲖᲝᲒᲘ ამბობდა ამ საქმეზედაც ᲞᲐᲠᲘᲯᲨი კონფერენცია უნდა გაიმართოსო. მარტის 19-მდინ ვიკონტს ᲚᲐᲒᲔᲠᲝᲜᲔᲠს სამჯერა ჰქონოდა რჩევა ᲑᲔᲚᲒᲘᲘს მინისტრებთან, რომლებიც დაეთანახმებინა, რომ დაენიშნათ საერთიერთშუო კომმისია ამ საგანზე; ეს კომმისია შევა განხილვაში რკინის გზების პირობაებისა რომელიც გაშინჯავს აგრეთვე ეკონომიურს პირობაებსაც. ᲖᲝᲒᲘ ამბობს ამ კომმისიის წევრები არიან დანიშნულიო, და სახელებსაც ამბობენ, მაგრამ მხოლოდ ეს კი არის ნამდვილი რომ იმის პრეზიდენტათ სამუშაოს მინისტერი ᲑᲠᲔᲡᲡᲔ იქნება. ᲑᲔᲚᲒᲘᲘს მხრით კიდევ დაყოვნება არის, მაგრამ ამბობენ დღეს ან ზეგ სულ დაბოლოვდება ეს დაყოვნებაო.—ᲤᲠᲐᲜᲪᲘის ელჩს ᲑᲔᲠᲚᲘᲜში, ᲑᲔᲜᲔᲓᲔᲢᲘᲡ აქეს მინდობილი, როგორც ისმის, რომ ყველა ხმები გაზეთებში ᲤᲠᲐᲜᲪᲘის დაიარაღებაზე გაამტყუნოს (მაგრამ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ კი ჯარს ამზადებს).—ᲢᲣᲚᲣᲖის გაზეთებში სწერენ, რომ იქაური ლიცეის შეგირდებში დიდი არეულობა იყო, რომელზედაც მარსელიოზსა მღეროდნენო. რამდენიმე ხნით ლიცეი დაიკეტებაო.—ᲑᲠᲣᲡᲔᲚის გაზეთებში სწერენ, რომ როდესმე ᲛᲔᲥᲡᲘკის იმპერატრიცა შარლოტტას სიმთელე ძალიან ცუდს მდგომარეობაში არის, ასე რომ ჰექიმებს იმედი აღარა აქვსთო.—საზოგადოება ძალიან უსიამოვნებაში არის იმის გამო, რომ ამ ცოტა ხანში ᲡᲝᲠᲑᲝᲜᲜასთან ხიმიური ქარხანა აფეთქდა. ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑს უნდათ შეიტანონ ᲙᲐᲜᲝᲜის დამაწესებელს კრებაში მოთხოვნილება, რომ შემდეგში დაუშალონ შუაგულ ქალაქში ხიმიური ქარხნების გამართვა.

— ᲞᲐᲠᲘᲯის კორრესპონდენტი „ᲙᲔᲚᲜის გაზეთისა“ სწერს შემდეგს ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐსა და ᲘᲢᲐᲚᲘᲐს შუა ვითომც კავშირის ყოფნაზე: „ᲞᲠᲣᲡᲘის წინააღმდეგს პარტიას, რომელიც შემდგარა ᲕᲘᲙᲢᲝᲠ-ᲔᲛᲛᲐᲜᲣᲔᲚის სასახლეში, ახლანდელი გარემოებაები ეპოვა სახერხოთ, რომ ᲤᲠᲐᲜᲪᲘის იმპერატორის მიღებულთ პირებთან დაედოთ ერთათ პირობაები. Ერთს ისეთს პირს გაეგო ეს საქმე, რომელსაც არა სწადდა ამისი ასრულება და მაშინვე გამოეაშკარავებინა; მაგრამ თებერვლის ნახევარში ეს აზრი მაინც მოსაზრეს და ტიულერიის სასახლეშიაც მიღებულია. ᲐᲛავე დროს თებერვლის 14-ში ᲕᲘᲙᲢᲝᲠ-ᲔᲛᲛᲐᲜუილი მიეჩქარებოდა ნეაპოლიდგან ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐში, რადგანაც ერთს კოროლის მეგობარს პირს ᲞᲐᲠᲘᲯიდგან ეცნობებინა იტალიის სამინისტროსათვის, რომ კოროლი ჟთქვენოთ შეიდა იმპერატორის მმართებლობასთან თანხმობაშიო. Ეს სამინისტროს სწყენოდა, მაგრამ კოროლს დაეჯერებინა, რომ ეს პირობაები სრულებით კერძო ღირსებისანი არიანო და არც რამ საერთო ძალი აქვსთო. Ეს აზრები იმიტომ აქამდე არ მოდის აღსრულებაში, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ უფრო სასარგებლოთ რაცხს, რომ იყოს ომი ᲘᲢᲐᲚᲘᲐსა და ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐს შუა ერთის მხრით და ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘისა მეორის მხრით, ვიდრე თითონ იყოს ომის ორჭოფობაში. ᲐᲛიტომ იმისი დიპლომატები თუმცა შედიან ამ საქმეზე რომელიმე თანხმობაში, მაგრამ მკაცრს მოქმედებას კი ერიდებიან. ᲐᲛ გარემოებაში იმყოფებიან ახლა საქმეები და რადგანაც ᲤᲠᲐᲜᲪᲘის ჯარის პარტიას ესმის, რომ თუ თანაშემწენი და მოკავშირენი არა ჰყავთ, მაშინ ᲑᲔᲠᲛᲐᲜიასთან ომს ვერ დაიწყობენ, ამიტომ თავიანთ აზრს სულ უკუ აგდებენ; და ᲤᲠᲐᲜᲪᲘის ჯარიც ახლა იმ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ომი არ შეუძლიან.

60
700

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ.

„Independance Belge“-ში სწერენ ᲚᲝᲜᲓᲝᲜიდგან: Ომიანობის ხმები ᲐᲜᲒᲚᲘᲐსაც აწუხებენ. მართალია ჯერ ომის ამბავი ბნელია, რადგანაც არ იციან რა უნდა იყოს მიზეზი აშლისა; მაგრამ ყველანი ᲤᲠᲐᲜᲪᲘისაკენ იშვერენ ხელს. ᲐᲜᲒᲚᲘᲐს სურს მშვიდობიანობა; მაგრამ ᲐᲜᲒᲚᲘᲘს საზოგადოება შიშობს, რომ რადგანაც ᲐᲜᲒᲚᲘᲐ აქამდე არაფერს ყურს არ უგდებდა, რაც ევროპაში ხდებოდა, ამიტომ სხვა სახელმწიფოებმა არ დაიჭიროთ იმისთანა საქმეო, რომელზედაც გულგრილობა არ შეიძლებოდესო. ᲐᲜᲒᲚᲘᲘს ხალხს სურს, რომ გარეგანს პოლიტიკაში იყოს უფრო მკაცრი; იმათ სურს, რომ ᲐᲜᲒᲚᲘᲘს მმართებლობა არ იღებდეს ხელს ძალოვანი სახელმწიფოს როლისაგან. Ეს აზრი ძალიან მარტივათ გამოითქო ერთი გაზეთი „Spectutor“-ის სტატიაში. ᲐᲛ სტატიის ავტორის აზრით ᲐᲜᲒᲚᲘᲘს მმართებლობის გულგრილობისაგან იმპერატორი ᲜᲐᲞᲝᲚᲘᲝᲜი დაიწყებს კიდევ შეცდომილობებსა, როგორც მექსიკაში ეკსპედიცია, როგორც იმისი მოქმედება ᲞᲝᲚᲨის საქმეში და ᲐᲛᲔᲠᲘკასთან მიდევნილებაო. Ზულგრილობა მართალია სჭირს რომელიმე ანგლიის საზოგადოების ნაწილსაო, მაგრამ საერთო გულგრილობა კი არ არისო. შემდეგ ამბობს: „ჩვენ შეგვიძლიან გამოვითხოვოთ ომი, თუ ვიტყვით, რომ არაფერ მონაწილეობას არ მივიღებთ იმაშიო“. მაგრამ „ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲢᲝᲠს არა სწამს ეს. „Ის ვერ იცნობს ᲐᲜᲒᲚᲘᲘს ხალხს, რომელსაც ჰგონია, რომ ეს ხალხი ძალიან მშვიდი და მომთმენიაო.“ ᲑᲔᲠᲚᲘᲜის გაზეთიც ამბობს, რომ ნამდვილათ ვიცით, რომ ახლა ანგლია აპირობს მიიღოს უფრო დიდი მონაწილეობა ᲔᲕᲠᲝᲞᲘის საქმეებში, ვიდრე აქამდინ მიუღიაო.

— ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 18-ს.—ᲖᲣᲨᲘᲜ ლორდების ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ სხდომაში, ლორდმა ᲙᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲘმ შეიტანა ძალიან სასტიკი ბილლი, რომელიც შეეხება დანაშაულის გამმეორებელთ პირთ. ᲐᲛ ბილლის ძალით „ყველა, ვინც მეორეთ დაისჯება დანაშაულის გამო, ის შვიდი წელიწადი უნდა იმყოფებოდეს პოლიციის სასტიკს მხედველობას ქვეშ. ᲐᲛ ვადის გაელამდე პოლიციას შეუძლიან ყოველთვის მოსთხოვოს დამტკიცება იმისი, აქვს თუ არა იმ გვარი საქმე, რომელიც აძლევს პურსა და რომელიც არ არის აღკრძალული; თუ ამ გვარი დამტკიცება ვინმემ ვერ წარმოადგინა, მაშინ პოლიციას შეუძლიან ის ჩასოს ციხეში ერთი წელიწადი. ᲧᲕᲔᲚᲐ პოლიციელს შეუძლიან დაიჭიროს ის, რომელზედაც კი მიიტანს ეჭვს, რომ იმას უნდოდა დაცემა ვისამე უშიშროებაზე და ქონებაზედ. ᲧᲝᲕᲔᲚ კერძო პირს შეუძლიან დაიჭიროს ის, ვისიც სახლში ყოფნა იმას ეჩვენება იჭვნეულათ. ᲕᲘᲡაც მეორეთ შეაჩნდება ქურდობა, იმან მთელს სიცოცხლეში უნდა წარმოუდგინოს პოლიციას პირველის მოთხოვნილებით დამტკიცება იმისი, რომ რაც ქონება ან ნივთები აქვს, სიმართლით არიან ნაშოვნი. ᲕᲘᲡაც ბაშფორთი არა აქვს და არც ერთი სამუდამო სადგომი, ის მაშინვე ციხეში უნდა დაიჭირონ, თუნდა დაამტკიცოს კიდეც, რომ იმას არაფერი სიმრუშე არ უქმნია. ᲧᲝᲕᲔᲚი დანაშაული, რომელიც არის გამესამებული, უნდა დაისაჯოს კატორგის სამუშაოთი, რომელშიაც უნდა დაჰყოს უკანასკნელათ შვიდი წელიწადი, და მერე მთელი სიცოცხლე უნდა პოლიციის მხედველობას ქვეშ იყოს“. Ეს ბილლი სიხარულით მიიღო ლორდების პალატამ, რომელმაც უარ ჰყო გრაფ Ბრეის, რომელიც თხოულობდა, რომ გაეგზავნათ საკუთარი კომმისიისათვის გასაშინჯავათ. Არ ვიცით სოფლების პალატა რალას იტყვის; ამან თუ არ დაამტკიცა, მაშინ არ მიეცეს ამას კანონის ძალა. Უნდა შევნიშნოთ, რომ იმავე ᲚᲝრდების პალატაში წარუდგინა გერცოგმა Არგაილმა პროეკტი დანაშაულობის შეცოტავებისათვის, რომელიც უფრო ნამდვილი კაცობრიეი იყო; ის ამბობდა ყოველი გახსნილი შკოლა ხურავს ერთს დიდს ტუცალხანასაო.

— პალატას წარმოუდგინეს ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1832 წლის საბერძნეთის სესხისას ᲐᲜᲒᲚᲘᲐ აძლევს სარგებლათ და თავნათ ყოველ წლივ 47,000 გირვანქა სტერლინგს (ოცდა თორმეტ ათას თუძანს) და საბერძნეთს კი ამ ანგარიშში შეაქვს ყოველ წელს ოთხი ათას ოთხასი თუმანი. Ეს სესხი არის შემდგარი ᲐᲜᲒᲚᲘᲘსა, ᲤᲠᲐᲜᲪᲘისა და რუსეთის თაოდებობით. რაც საბერძნეთს შეუტანია ის რომ გამოვიცხოთ მაინც ამ სესხისა ᲐᲜᲒᲚᲘᲐს აწევს შვიდი მილიონი. ᲘმᲔდი არ არის, რომ საბერძნეთს შეეძლოს ამ ვალის გადახდა, რადგანაც რას წამს ისესხეს, მაშინვე ᲝᲢᲢᲝᲜის ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲔᲚᲗᲐ მრჩეველებმა შეჭამეს, სრულებით უსარგებლოთ მხარისათვის.

ისპანია.

მადრიდი მარტის 16-ს. მარშალმა პრიმმა გამოაცხადა რესპუბლიკელების პასუხათ, რომ მანარხიელებს ჰყავთ თავიანთი კანდიდატი საკოროლოთ და იმის სახელსაც თავის დროზე გამოაცხადებენ; შემდეგ სთქო, რომ ისპანიაში იქნება სარწმუნოების თავისუფლება, მაგრამ კათოლიკების სარწმუნოება უწინდელსავით დარჩება სახელმწიფო სარწმუნოებათაო. ლიბერალებს არ მოსწონთ, რომ ოლოცაგა და სამი ეპისკოპოზი არიან თანაშემწეთ პალატაში, და მოქმედებენ საკონსტიტუციო კომმისიაში; ყველამ იცის, რომ ოლოცაგას აზრები არ განერჩევიან კლერიკალების აზრებთან.

— დღევანდელ კორტესების სხდომაში იყო ლაპარაკი დეპუტატი როდრიგეცის პროეკტზე; ეს იყო იმაზედ, რომ პალატიდგან დაინიშნოს ოთხი კომმისიები, რომელიც გამოიკვლევდეს ახალ ამორჩევის კანონს, სასოფლო მმართებლობის კანონებსა (რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ყველანი), ადმინისტრაციის გასაუმჯობესებლათ და საზოგადო რიგიანობის შესანახავათ. ამაზე ცხარე ლაპარაკი იყო; პრიმი და როდრიგეცი ამ პროეკტის სასარგებლოთ ლაპარაკობდნენ, და ქასტელიარი წინააღმდეგ; მაგრამ პროეკტი მაინც 63 ხმაზე 145 ხმის უმეტესობით მიიღეს.—სამინისტრომ უკან აიღო საქმე, რომელიც სამოქალაქო ქორწინებას ხდიდა მოვალეობითათ.— ახლა მადრიდში ოცდა ათი გაზეთი გამოდის, რომელთაგანაც თხუთმეტი გერცოგი მონპანსეს კანდიდატობას ცდილობენ,—6 რესპუბლიკის გამართვას,—5 იბერიის კავშირისას, 2 დონ-ქარლოსის კანდიდატობას და ორიც კოროლევა იზაბელლას ჰქომაგობს.

— „ბავასის ქორრესპონდენციაში“ სწერენ ცნობაებს იმაზე, რომ 14-ში მადრიდში მოხდა დემონსტრაცია სალდათების აკრეფაზე (კონსკრიფციის გამო): „როგორც დანიშნული იყო, მოგროვდნენ მაისის 2-ს ძეგლთან. ორატორებისათვის იყო გამართული ტახტი წითელი ბალდახინის ქვეშ. უკანასკნელათ ილაპარაკა გენერალმა პიერარმა, რომელმაც გაათავა ყვირილით ფედერატიული რესპუბლიკის სასარგებლოთ. ეს ხმა ხალხმაც გაიმეორა. ორ საათზე დაიწყეს სვლა წმ. იერონიმეს ქუჩაზე; თავს ოცამდე დედაკაცი მიდიოდა, რომელთაგანაც ორს ეჭირათ წითელი ბაირაღები ზედ წარწერით: „ბანვედი კონსკრიპციავ!“ მეორე წითელი ბაირაღიც რესპუბლიკისა მიჰქონდათ დედაკაცებს. სულ ხალხი იქნებოდა 3,000-მდე. წესიერობა არ დაუშლიათ, მაგრამ ძახილი „ღმერთმან ადიდეგრძელოს ფედერატიული რესპუბლიკა“, აძლევდა სრულებით რესპუბლიკურ ხასიათს ამ ყრილობას. დედაკაცები ყვიროდნენ „მოგვეცით ჩვენი შვილებიო!“. სერრანოს სახლისაკენ რომ გაიარეს დედაკაცებმა მიიშვირეს ხელები იმის აკოშკებისაკენ და სამჯერ დაიძახეს „ჩვენი შვილები, ჩვენი შვილები, მოგვეცით ჩვენი შვილები!“ ხალხი იმეორებდა ამ სიტყვებს საშინელის ხმით, მაგრამ სამინისტროს სახლმა აკოშკები არ გააღო. მერე სვლა ისევ ძეგლთან დაბრუნდა. ხალხი ორატორებს შემოეხვია. აქ მარკიზი ორენზე ამტყუნებდა მმართებლობას საშინელის სიტყვებით: „იმათ ჭეშმარიტათ მოგვატყუეს ჩვენ. ჩვენ მივეცით პირობა შვილისა მხოლოთ იმ პირობითა, რომ რას წამს დროებითი მმართებლობა გამართულიყო, მაშინ მოეშალა კონსკრიპცია, შინაგანი დამოჟნის საბაჟოები, ყველა ალმაცერა ხირჯი, დიდრონი ჯამაგირების მიცემა შეემოკლებინა, ეკლესია სახელმწიფოსაგან განეშორებინა და მორწმუნეთაზედ მიენდოთ ეკლესიების შენახვა. პრიმმა და იმის ამხანაგებმა მოგვცეს ფიცი ამათი ასრულებისა, მაგრამ სამუდამო ჯარი ახლა უფრო გამრავლდა, ვიდრე უწინ იყო; სალდათის აკრეფა ფლოტისათვის ახლა ძალიანია და ფინანსის სამინისტროს შეაქვს სულზე ხარჯის კრეფა, რომელიც შინაგან საბაჟოებს უფრო შესაწუხარი არის“.

ორატორის ხმა, ბუნებით სუსტი, ზარივით ისმოდა ხალხში, რომელიც ხანდის ხანტაშს სცემდა. მერე გენერალი პიერარი შედგა ტრიბუნაზე. ხალხმა პირველათ ნახა სალდათი, ისიც ძალიან ვაჟკაცი, რომელიც იყო წინააღმდეგი სამუდამო ჯარისა. ხალხი დაიშალა და მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება!

1) საქალაქო თანამდებობაებს დაუშალოთ, რომ სალდათის მოგროვებაში არ უშველონო. 2) ვინც დაძახებაზე არ გადის იმათ უშველოთ, მივცეთ მფარველობა. 3) თუ მმართებლობა ამაზე ძალას მოიხმარებს, მაშინ ხარჯი აღარ მისცენ.

—ახლა ბევრს ქალაქებში არის ამ გვარიენ დემონსტრაციები სალდათის მოგროვებაზე. მადერაში ახალგაზდობას გაუმართავს ქუჩებში ბარრიკადები და მზათ არის ომისათვის. აქედგან თანამდებობაები თხოულობენ ჯარის მიშველებასა.—მადრიდში მოკრიფეს სალდათი, თუმცა კორტესებში სთქვეს, რომ სალდათის აკრეფას ისინიც ჰკიცხავენ, მაგრამ საჭიროების გამო ჰკრეფენ. ახლა თუ მმართებლობამ არ შეიკრიფა ღონე, მაშინ ჩვენი რევოლუციის საქმე ჰუქმათ ჩაიელისო.

— მარტის 19-ს.—ახლა მადრიდი მხოლოდ კორტესების სეკრეტრის ცელესტინო ოლოცაგას სიკვდილზე სწუხს. ეს მოკლა 16-ში დუელზე გრაფმა ფარამ. ამბობენ მიზეზი დუელისა უბრალო საქმეზე იყოვო. ზოგი პოლიტიკურ ჯიბრს აწერს. ესენი ტიატრში წაჩხუბულეყვნენ. ხმლებით ეომნათ, რომელსაც ოლოცაგა კარგათ ვერა ხმარობდა და ფარა კი მშვენივრათ, იმისი მამა დონ-ხოზე ლოგინათ ჩავარდნილა; ეშინიანთ არ მორჩებაო. მთელი მადრიდი გლოვობს ოლოცაგაზე. მარშალმა სერრანომ, პრიმმა, რიეროომ და მრავალთ სხვათ მისცეს ნუგეში იმის სახლობას. მოკლული ოლოცაგა იყო ოცდა ექვსი წლისა.

ტელეგრამები

(პეტერბურღში მიღებული)

ათინა, მარტის 8-ს. საბერძნეთის ელჩი უფ. რანგაბე, რომელიც იყო პარიჟში, დაინიშნა ელჩათ ოსმალეთში მისასვლელათ და ოსმალეთსა და საბერძნეთ შუა დიპლომატური მიდევნილება გაიხსნა ოფიციალურათ. საელჩოს სეკრეტარი უფ. ალერჟი მიდის ქოსტანტინეპოლში საკუთარის მინდობილებით.

სხვა და სხვა ამბავი.

მარტის რვაში პეტერბურგში ერთბაშათ მოეკიდა ცეცხლი ქარვასლას (гостиный дворъ). საქონლით სავსე სარდაფები დაიწო, რომელშიაც უფრო მომატებით ხაევრდი და ბამბა ეწყო. ამბობენ ძალიან დიდი სუმმის საქონელი დაიწოვო; ზოგი ამბობს სულ ოცი ათასი თუმნისა იქნებაო.

ერთი მოქალაქის ქალს ტატიანა შჩეგოლევისას უჩუქებია ერთი ბანკისათვის რვა ათასი თუმანი სამუდამოთ, და იმ პირობითა, თომ იმისი სარგებელი მოახმარონ სახელოსნო სასწავლებელზე ქრასნო იარში; ამ სასწავლებლებში უნდა სწაელობდნენ იქაურნი საწყალი ხალხის შვილები. ბარდა ამისა დაჰპირდა ორი ათასი თუმნის ჩუქებასაც, რომელიც უნდა მოხმარდეს სასწავლებლისათვის სახლის აშენებაზე.

„მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ეს საქმე შინაგანთ საქმეთ მინისტრს მოუხსენებია ამ წლის თებერვლის 28-ში ხელმწიფე იმპერატორისათვის და იმათაც უბძანებიათ მადლობის თქმა შემწირავისათვის.

ესევე გაზეთი გვაცნობებს შემდეგს შესანიშნავს ამბავს: წარსული დეკემბრის ჩვიდმეტს სოფელი ქრუჩინცის გლეხს სილვესტრ შევჩუკს ოცის წლისას და იმის დას ანნას, თვრამეტის წლისას, დასცემიათ მეხი კალოზედ, რომელზედაც პირველი ლეწდა შვრიოს, და მეორე იმის ახლო, ჰაუზში რეცხდა სარეცხსა; ამისაგან დამწვარა თითონ კალო და რაც კალოზე ყოფილა პური, შვრიო და თივა სულ ოცდა შვიდ თუმან ნახევრისა. როცა, ცეცხლი გაქრა, მინდორზე ორიოდ კაცის ძვლები ძლივს ეპოვათ.

მოსკოვი. ის ხმა, რომ ქალის უნივერსიტეტი იმართებაო, ტყუილი ამოჩნდაო, ამბობს ერთი. „ახალი „დროების“ კორრესპოდენტი; ამ საგანზე მე შემიძლიან რომელიმე ნამდვილი ამბები გაცნობოთო. ახლა მხოლოთ იყრებიან ხოლმე ის ქალები და დედაკაცები, რომლებსაც უნდათ მიიღონ უმაღლესი სწავლა და განათლება. ამ განათლების წადილს იჩენენ მხოლოთ გუვერნანკები; და მაღალი საზოგადოების ქალები კი ამაზედ არ არიან თანახმათ და ამაოთაც მიაჩნიათ ქალებისათვის მაღალი განათლება.

სახელმწიფო ბანკისაგან. მეექვსე ტირაჟი მეორე შინაგანი ხუთი პროცენტიანი 1866 წლის სესხისა იყო 1869 წლის მარტის სამში, სახელმწიფო ბანკის სამმართველოში, რომელსაც დაესწრენ სახელმწიფო სესხების რჩევის წევრები, პეტერბურგის საქალაქო რჩევისა წევრები, ბირჟის კომიტეტი და პუბლიკა.

უმთავრესი მოგება.

NN სერ.	NN ბილ.	მოგება.	NN სერ.	NN ბილ.	მოგება.
17,880	30	200,000	07,018	45	8,000
17,683	24	75,000	01,607	10	8,000
14,274	42	40,000	05,698	37	5,000
14,741	24	25,000	08,256	6	5,000
00,255	47	10,000	07,315	35	5,000
05,000	47	10,000	17,047	25	5,000
08,401	46	10,000	00,406	6	5,000
01,421	41	8,000	01,641	42	5,000
09,440	11	8,000	14,355	48	5,000
13.862	42	8,000	06,815	46	5,000

ათას—ათასი მანეთი.

N სერიის.	N ბილეთისა.	N სერიის.	N ბილეთისა.
14,867	33	15,858	20
07,382	32	07,976	5
11,248	36	15,932	36
17,178	25	12,241	39
06,681	39	15,731	33
02,025	21	19,999	21
12,872	20	08,560	32
08,723	22	10,886	37
14,541	9	17,303	40
08,180	37	17,814	5

ხუთას—ხუთასი მანეთი.

№ სერიის.	№ ბილ.	№ სერიის.	№ ბილ.	№ სერიის.	№ ბილ.
01,704	2	01,546	30	07,416	29
08,654	9	15,990	24	01,687	35
16,882	11	15,780	49	07,433	6
12,319	14	05,461	2	01,646	36
03,376	37	17,968	34	01,609	48
17,587	22	08,555	47	11,846	15
07,720	12	03,484	29	18,380	43
06,078	17	13,924	35	06,058	3
14,340	38	09,224	44	01,689	20
19,738	34	12,088	30	05,996	33
14,917	21	02,238	42	13,639	42
16,607	47	01,863	45	01,920	29
12,160	18	05,623	41	19,880	36
00,314	43	11,901	15	12,079	19
02,601	7	15,767	32	15,137	23
00,604	35	13,076	37	08,669	13
18,455	40	16,384	20	11,610	23
13,429	38	18,777	45	00,065	1
11,833	13	17,683	14	00,739	39
07,462	15	10,862	28	13,682	37
10,379	8	01,966	49	16,688	49
10,715	18	19,117	40	18,697	37
09,074	7	04,396	7	16,167	15
07,210	15	02,494	13	18,867	10
09,102	12	17,059	50	„4,835	50
13,332	47	11,216	30	10,559	48
19,483	22	19,213	46	10,457	25
13,536	34	13,761	21	12,956	6
07,664	9	16,862	14	11,019	5
06,937	37	16,376	30	06.969	41
00,681	37	00,872	37	10,710	4
12,682	16	05,415	36	14,248	49
02,293	18	19,134	1	19,542	48
08,169	10	07,514	41	06,277	36
05,147	13	11,278	24	06,430	45
04,058	15	11,178	12	16,605	40
17,598	21	07,072	42	01.578	8
07,503	33	11,842	27	12,980	17
05,971	31	13,542	5	02,905	22
02,686	21	05,442	7	11,761	12
10,265	33	15,474	48	15,448	25
02,308	33	11,137	30	11,290	23
02,281	21	16,345	12	05,901	2
17,626	31	04,958	26	01,717	38
15,761	4	15,761	44	19,903	8
08,712	15	02,926	36	07,642	45
01,260	4	17,415	8	06,980	17
06,091	21	13,671	38	18,149	12
08,682	4	09,673	7	02.580	38
09,655	2	08,366	47	13,549	42
18,245	3	05,223	36	17,700	27
01.436	37	05,479	42	15,402	36
12,635	39	09,661	11	10,421	46
06,870	12	12,114	41	18.793	43
10,220	39	08.114	43	00,704	38
17,105	12	11,513	28	16,559	29
06,936	35	06,860	38	10,320	30
12,470	43	12,568	6	12,097	5
13,436	32	19,337	10	14,018	45
00,202	7	16,395	37	05,237	15
09,471	2	00,481	19	01,734	31
02,708	34	11,013	36	17,878	1
18,984	24	29,994	11	14,714	39
12,586	47	09.545	37	15,590	8
17,925	35	17,647	33	08,910	43
08,929	17	03,824	4	10,018	21
05,885	26	12,550	38	15,210	33
02,386	43	14,343	17	12,828	42
19,842	43	18,930	22	10,364	46
09,230	35	12,816	45	02,572	4
04,169	34	06,922	24	05,059	33
14,558	7	02,173	16	00,429	4
19,456	2	16,567	30	12,386	26
08,613	36	10,366	15	13,994	15
00,166	24	06,713	31	05,860	34
02,750	40	17,658	1	17,741	20
08,230	27	18,781	49	11,141	48
09,623	13	06,087	50	16,010	37
00,539	32	04,755	43	16,011	29
17,612	46	10,694	48	13,744	48
12,662	47	04,374	26	5,621	17
03,483	29	13,390	15	10,667	15
03,585	43	13,789	19	05,000	36
14.210	25	05,830	5	18,937	34
05,939	2	16,815	38	13,896	25
02,994	39	10,945	31	07,877	36
03,969	30	06,641	25		

ზადახდილი ბილეთების ტირაჟი მეორე შინაგანი ხუთ პროცენტიანი სესხისა 1866 წლისა, რომელიც 1869 წლის მარტის სამში იყო.

სერიის ნუმრები.

00,689	17,985	07,165	06,154	16,451
19,788	03,197	11.723	11,682	14,314
18,063	02,111	19,144	14,204	04,127
06,844	07,776	14,764	14.556	04,777
15,156	02,348	09,667	05,767	14.428
04,300	02,307	17,541	16,436	03,300
03,112	06,892	07,543	03,098	19,728
16,452	01,557	18,262	05,174	19,706

სულ 40 სერია, რომელიც შეადგენს 2,000 ბილეთს. რომელიც ტირაჟში ბილეთები გამოვიდნენ, იმათი ფასი თითოზე თორმეტ თორმეტი თუმანი მიეცემათ 1869 წლის თიბათვის პირველიდგან სახელმწიფო ბანკში, იმის კანტორებში და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го апрѣла, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.